საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/143 "29" ივლისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

გ. ჯეირანაშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის №1/137 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 25 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 19 მოსამართლე ახორციელებს.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა ორი, მათ შორის მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის განაცხადი. გ. ჯეირანაშვილი ამჟამად უფლებამოსილებას ახორციელებს ახალციხის რაიონულ სასამართლოში. მას აქვს მოსამართლედ მუშაობის 12-წლიანი, ამასთან თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება. გ. ჯეირანაშვილთან გასაუბრება და მის მიერ სააპელაციო ინსტანციის საქმეთა განხილვის სპეციფიკის ცოდნა ქმნის იმის წინაპირობას, რომ იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში.

აღნიშნულის გათალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, გოჩა ჯეირანაშვილი გათავისუფლდეს ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2021 წლის 17 აგვისტოდან.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე